

შპს „ნიუ ტექნოლოჯი იმპექსი“

2020 წლის ფინანსური ანგარიშგება

შპს "ნიუ ტექნოლოჯი იმპექსი"			
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება			
			ერთეული: 1 GEL
	საანგარიშგებო თარიღი		შენიშვნა
	31.12.2020	31.12.2019	
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები			3.1
სავაჭრო მოთხოვნები			
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი			
მარაგები			3.2
მ.შ. - მზა პროდუქცია			
- სხვა მარაგი			
საინვესტიციო ქონება			
სხვა მიმდინარე აქტივები			3.3
ბიოლოგიური აქტივები			
მ.შ. - თვითღირებულების მოდელით			
- გადაფასების მოდელით			
გუდვილი			
სხვა არამატერიალური აქტივები			
ძირითადი საშუალებები			3.4
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში			
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში			
სხვა გრძელვადიანი აქტივები			
სულ აქტივები			5240062
ვალდებულებები			
ფინანსური იჯარის (ლიზინგის) ვალდებულება			
სავაჭრო ვალდებულებები			10039
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები			
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ			2755
საგადასახადო ვალდებულებები			
გამოუმუშავებელი შემოსავალი და მიღებული ავანსები			523
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები			6535067
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები			
მიღებული გრანტებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები			
სხვა ვალდებულებები			72998
სულ ვალდებულებები			6621382
საკუთარი კაპიტალი			
კაპიტალი (სააქციო კაპიტალი, საპაიო კაპიტალი)			107807
საემისიო შემოსავალი			
გამოსყიდული საკუთარი აქციები			
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი			-1489127
გადაფასების რეზერვი			
სხვა რეზერვები			
მ.შ. - არამაკონტროლებელი წილი			
სულ საკუთარი კაპიტალი			-1381320
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			5240062
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 27.09.2021 წ.			
დირექტორი: _____			დ. მიმინოშვილი
თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.			

შპს "ნიუ ტექნოლოგი იმპექსი"			
საქმიანობის შედეგები			
		ერთეული: 1 GEL	
	საანგარიშგებო პერიოდი		შენიშვნა
	2020	2019	
ნეტო ამონაგები	1530704		3.8
მ.შ. - საქონლის გაყიდვიდან	1510325		
- მომსახურების გაწევიდან	20379		
- სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			
- სხვა ამონაგები			
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-1794126		3.8
საერთო მოგება	-263422		
სხვა საოპერაციო შემოსავალი			
დასაქმებულთა ანაზღაურება	-298370		
ცვეთა და ამორტიზაცია	-90759		
საპროცენტო შემოსავალი	1		
საპროცენტო ხარჯი	-280115		
იჯარის ხარჯი	-47295		
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-295431		3.9
სულ საოპერაციო ხარჯები	-1011969		
საოპერაციო მოგება	-1275391		
გაუფასურების ხარჯი/ რევერსირება			
მ.შ. - ფინანსური აქტივების			
- მარაგების			
- სხვა არაფინანსური აქტივების			
წმინდა შემოსულობა/ დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან	-202242		
მიღებული დივიდენდები			
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ ხარჯი	-11494		3.10
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციებიდან	-213736		
მოგების გადასახადის ხარჯი			
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ ზარალი	-1489127		
სხვა სრული შემოსავალი/ ზარალი			
ძირითადი საშუალებების გადაფასების რევერსი (მ.შ. ბიოლ. აქტივების)			
სხვა			
სხვა სრული შემოსავალი/ ზარალი, სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი	-1489127		
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში			
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირება)	107807		
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)			
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში			
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	-1381320		3.11
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 27.09.2021 წ.			
დირექტორი: _____		დ. მიმინოშვილი	
თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.			

შპს "ნიუ ტექნოლოჯი იმპექსი"		
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება		
		ერთეული: 1 GEL
	საანგარიშგებო პერიოდი	
	2020	2019
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	-4807650	
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-1359428	
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	6272973	
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	105895	
სავალუტო კურსის ეფექტი	-26986	
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში		
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	78909	
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 27.09.2021 წ.		
დირექტორი: _____	დ. მიმინოშვილი	
თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.		

2020 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „ნიუ ტექნოლოჯი იმპექსი“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 2020 წლის 3 აპრილს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 404595176, იურიდიული მისამართი - საქართველო, თბილისი, კოსტავას ქ., N 37-39, საოფისე ფართი N 602. კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

1.2. კომპანიის დამფუძნებელი პარტნიორები არიან: სს „საპარტნიორო ფონდი“ (ს/კ 404404550) - 10% და საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი დავით მიმინოშვილი (პ/ნ 01024003651) - 90%.

1.3. კომპანიის დირექტორია დავით მიმინოშვილი (პ/ნ 01024003651).

1.4. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა დამცავი პირბადეების წარმოება. დამხმარე ეკონომიკური საქმიანობაა სატრანსპორტო მომსახურება, რომელიც გაიწევა მხოლოდ ძირითადი საქმიანობის საჭიროების ფარგლებში.

1.5. კომპანიას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

1.6. 2020 წლის ბოლოს განმავლობაში, კომპანიაში დასაქმებულ პირთა საშუალო რიცხოვნობა შეადგენდა 37 კაცს. ბუღალტრული აღრიცხვის მომსახურებას 2020 წლის ბოლომდე ეწეოდა მომსახურე აუდიტური კომპანია.

1.7. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს **მსს ფასს**-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე ჩათვლით). 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი **მსს ფასს**.

2.5. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის შექმნა, ან დებიტორული დავალიანების უფრო ადრე აღიარება საექვო მოთხოვნად.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის

განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება სამუშაო ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება სამუშაო ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დასაქმებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის

უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული საღაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით.

დ) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 10%.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.6. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური

მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორიც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2020 წელს საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.7. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის სამუშაო ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.8. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=3.2766 ლარი;

1 EUR=4.0233 ლარი.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.8677 ლარი;

1 EUR=3.2095 ლარი.

საშუალო სავალუტო გაცვლითი კურსი შეადგენდა:

2020 წელს: 1 USD=3.0937 ლარი; 1 EUR=3.5395 ლარი.

2019 წელს: 1 USD=2.8192 ლარი; 1 EUR=3.1553 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები:

კომპანიის ფულადი სახსრები 2020 წლის ბოლოს შედგებოდა:

	ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ლარები ადგილობრივ ბანკებში	5770
აშშ დოლარები ადგილობრივ ბანკებში	73139
სულ:	78909

3.2. მარაგები:

კომპანიის მარაგები 2020 წლის ბოლოს შედგებოდა:

	ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ძირითადი ნედლეული და მასალები	3074773
დამხმარე მასალები	5241
მზა პროდუქცია	459733
სულ:	3539747

3.3. სხვა მოკლევადიანი აქტივები:

კომპანიის სხვა მოკლევადიანი აქტივები 2020 წლის ბოლოს შედგებოდა:

ჯამური ზედმეტობა გადასახადებში - 26175 ლარი;

ზედმეტობა საპენსიო სააგენტოსთან ანგარიშსწორებებში - 1 ლარი.

3.4. ძირითადი საშუალებები:

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი. 2020 წლის 31 დეკემბრის ბოლოს, კომპანია ფლობდა შემდეგი სახის ძირითად საშუალებებს:

	თავდაპირველი ღირებულება	დარიცხული ცვეთა 2020 წელს	საბალანსო ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
მანქანა-დანადგარები	1316873	86232	1230640
კაპიტალიზაციის საშუალებები	253	26	227
ოფისის აღჭურვილობა, კომპ. ტექნიკის და ავეჯის გარდა	3984	465	3519
კომპიუტ. ტექნიკა და პერიფერიული მოწყობილობები	4029	414	3615
ავეჯი	466	23	443
ინვენტარი	7214	752	6462
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	24490	2792	21698
სულ:	1357310	90705	1266604

3.5. ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ:

2020 წლის ბოლოს, კომპანიის ჰქონდა შემდეგი ვალდებულებები დაქირავებულ თანამშრომელთა წინაშე:

	ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
გადასახდელი ხელფასები	43
ვალდებულებები პერსონალის წინაშე საპენსიო შენატანებზე	2097
ვალდებულებები ანგარიშვალდებული პირების წინაშე	615
სულ:	2755

3.6. მიმდინარე სასესხო ვალდებულებები:

31.12.2020 წ. მდგომარეობით, კომპანიას აღებული ჰქონდა სესხები რეზიდენტი შპს-სგან და „თიბისი ბანკი“-სგან:

	ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
სესხი რეზიდენტი იურიდიული პირისაგან	1070771
TBC ბანკის სესხი	5464296
სულ:	6535067

3.7. სხვა ვალდებულებები:

31.12.2020 წ. მდგომარეობით, „სხვა ვალდებულებების“ მუხლში კომპანიას ჰქონდა ასახული გადასახდელი ვალდებულება 72998 ლარის ოდენობით მისი პარტნიორის - დავით მიმინოშვილის წინაშე, რომელიც წარმოიშვა კომპანიის საწესდებო კაპიტალის შემცირების გამო.

3.8. ნეტო ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

2020 წელს, კომპანიის ნეტო-ამონაგები შედგებოდა:

პირბადეების გაყიდვიდან მიღებული - 1510325 ლარი;

პლასტმასის მასალის გაყიდვიდან მიღებული - 18276 ლარი;

სატრანსპორტო მომსახურება - 1534 ლარი;

კვების მომსახურება - 569 ლარი.

რეალიზებული საქონლის თვითღირებულებაა: 1794126 ლარი. პროდუქციის თვითღირებულებაზე გაკლენას ახდენს იმპორტირებული ნედლეულის სიძვირე.

3.9. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები (გარდა ხელფასების, იჯარის, ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯებისა):

2020 წელს, კომპანიის ადმინისტრაციულმა და სხვა საოპერაციო ხარჯებმა (გარდა ხელფასების, იჯარის, ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯებისა) შეადგინა 27531 ლარი, მათ შორის:

ხარჯი	2020 წელი
საწარმოო ზედნადები ხარჯები	-116540
მარაგის გაუფასურება	-44127
სარეკლამო ხარჯები	-11214
მზა პროდუქციის ტრანსპორტირების, დაცლის და შენახვის ხარჯები	-17917
სატენდერო მოსაკრებელი	-32951
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები	-45151
სხვა საერთო-ადმ. ხარჯები	-27531
სულ:	-295431

3.10. სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი:

2020 წელს, კომპანიის წმინდა არასაოპერაციო ხარჯმა შეადგინა 11494 ლარი, მათ შორის:

	2020 წელი
საგადასახადო შეღავათი საშემოსავლო გადასახადში პანდემიის გამო	16951
ნაჩუქარი ფასეულობები	14848
დაზიანებული მასალები დაბეგვრის ჩათვლით	-8891
არარეზიდენტი მიმწოდებლისთვის გადახდილი პირგასამტეხლო	-34378
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	-24
სულ:	-11494

3.11. საკუთარი კაპიტალი:

2020 წლის აპრილში კომპანიის პარტნიორების მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, კომპანიის საწესდებო კაპიტალი გაზრდილი იქნა 1729397 ლარამდე, მაგრამ შემდეგ მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება საწესდებო კაპიტალის შემცირებაზე. საბოლოოდ, 2020 წლის ბოლოს მდგომარეობით, პარტნიორის მიერ განსაზღვრული საწესდებო კაპიტალი 107807 ლარის ტოლია.

2020 წლის ზარალმა შეადგინა 1489127 ლარი. შესაბამისად, 2020 წლის ბოლოს კომპანიის საკუთარი კაპიტალი უარყოფითია და -1381320 ლარს შეადგენს.

3.12. სასამართლო დავები:

კომპანიას 2020 წლის განმავლობაში სასამართლო დავები არ ჰქონია.

3.13. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2021 წლის 1 იანვრიდან 27 სექტემბრამდე პერიოდში, კომპანიის ეკონომიკურ საქმიანობაში საყურადღებო მოვლენები არ მომხდარა.

3.14. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოსაცემად ნებადართულია 2021 წლის 27 სექტემბერს კომპანიის მენეჯმენტის მიერ. კომპანიის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო თარიღი		შენიშვნა
	31.12.2020	31.12.2019	
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	78909		3.1
სავაჭრო მოთხოვნები	197220		
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	129340		
მარაგები	3539747		3.2
მ.შ. - მზა პროდუქცია	459733		
- სხვა მარაგი	3080014		
საინვესტიციო ქონება			
სხვა მიმდინარე აქტივები	26176		3.3
ბიოლოგიური აქტივები			
მ.შ. - თვითღირებულების მოდელით			
- გადაფასების მოდელით			
გუდვილი			
სხვა არამატერიალური აქტივები	2066		
ძირითადი საშუალებები	1266604		3.4
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში			
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში			
სხვა გრძელვადიანი აქტივები			
სულ აქტივები	5240062		
ვალდებულებები			
ფინანსური იჯარის (ლიზინგის) ვალდებულება			
სავაჭრო ვალდებულებები	10039		
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები			
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	2755		3.5
საგადასახადო ვალდებულებები			
გამოუმუშავებელი შემოსავალი და მიღებული ავანსები	523		
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	6535067		3.6
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები			
მიღებული გრანტებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები			
სხვა ვალდებულებები	72998		3.7
სულ ვალდებულებები	6621382		
საკუთარი კაპიტალი			
კაპიტალი (სააქციო კაპიტალი, საპაიო კაპიტალი)	107807		
საემისიო შემოსავალი			
გამოსყიდული საკუთარი აქციები			
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	-1489127		
გადაფასების რეზერვი			
სხვა რეზერვები			
მ.შ. - არამაკონტროლებელი წილი			
სულ საკუთარი კაპიტალი	-1381320		
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	5240062		

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 27.09.2021 წ.

დირექტორი: _____ დ. მიმინოშვილი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.



საქმიანობის შედეგები

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი		შენიშვნა
	2020	2019	
ნეტო ამონაგები	1530704		3.8
მ.შ. - საქონლის გაყიდვიდან	1510325		
- მომსახურების გაწევიდან	20379		
- სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			
- სხვა ამონაგები			
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-1794126		3.8
საერთო მოგება	-263422		3.9
სხვა საოპერაციო შემოსავალი			
დასაქმებულთა ანაზღაურება	-298370		
ცვეთა და ამორტიზაცია	-90759		
საპროცენტო შემოსავალი	1		
საპროცენტო ხარჯი	-280115		
იჯარის ხარჯი	-47295		
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-295431		
სულ საოპერაციო ხარჯები	-1011969		
საოპერაციო მოგება	-1275391		
გაუფასურების ხარჯი/ რევერსირება			3.10
მ.შ. - ფინანსური აქტივების			
- მარაგების			
- სხვა არაფინანსური აქტივების			
წმინდა შემოსულობა/ დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან	-202242		
მიღებული დივიდენდები			
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ ხარჯი	-11494		
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციებიდან	-213736		
მოგების გადასახადის ხარჯი			
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ ზარალი	-1489127		3.11
სხვა სრული შემოსავალი/ ზარალი			
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი (მ.შ. ბიოლ. აქტივების)			
სხვა			
სხვა სრული შემოსავალი/ ზარალი, სულ:	-1489127		
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი			
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში			
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირება)	107807		
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)			
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში			
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	-1381320		

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 27.09.2021 წ.

დირექტორი: _____

დ. მიმინოშვილი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.



შპს "ნიუ ტექნოლოჯი იმპექსი"

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი	
	2020	2019
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	-4807650	
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-1359428	
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	6272973	
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	105895	
სავალუტო კურსის ეფექტი	-26986	
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში		
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	78909	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 27.09.2021 წ.

დირექტორი: _____

დ. მიმინოშვილი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

